ხელოვნურსაფარიან მინდორზე

მოსკოვი. ცსკა-ს სპორტული კომპლექსი. 24 ოქტომბერი.

"სპარტაკი" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 4:1 (2:1).

"სპარტაკი": დასაევი (პრუდნიკოვი), სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, შჩერბაკი, რომანცევი, შავლო, შვეცოვი, გესი, გავრილოვი (მოროზოვი), ჩერენკოვი, როდიონოვი.

"დინამო": გაბელია, პაიკიძე (დოჩია), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, ანდღულაძე, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, ცავა, შენგელია (მიქაბერიძე).

მსაჯი: ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

დუბლიორები - 3:0.

გააფრთხილეს რომანცევი, ხიზანიშვილი.

მოსკოვში ახლა უამინდობაა, ამიტომ მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატის ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ხელოვნურსაფარიან მინდორზე, დახურულ დარბაზში გაიმართა. გათამაშების დებულების მიხედვით მასპინძელ გუნდს უფლება აქვს მეტოქე ასეთ მინდორზე მიიღოს და "სპარტაკმა" ეს უფლება გამოიყენა კიდეც (თუმცა, წინა დღეს, 23 ოქტომბერს, მოსკოვის "დინამო" ღია სტადიონზე შეხვდა ერევნის "არარატს"). ჩვენი აზრით, უკვე ეს ამბავი გარკვეულ უპირატესობას უქმნიდა სპარტაკელებს, ვინაიდან ისინი დახურულ დარბაზში თამაშის სპეციალისტები არიან. მათ "ნედელიას" საერთაშორისო ტურნირებში და საკავშირო შეჯიბრებებზეც ხშირად უთამაშიათ სინთეტიკით დაფარულ მინდორზე, წლეულს კი, გაზაფხულზე, "სპარტაკმა" ასეთ მინდორზე წარმატებით ჩაატარა ჩემპიონატის მატჩები ლენინგრადის "ზენიტთან" (0:0), მოსკოვის "ტორპედოსთან" (2:0) და ცსკა-სთან (2:1), თბილისელები კი, რამდენადაც გვახსოვს, ოფიციალურ მატჩში პირველად გამოვიდნენ დახურულ სტადიონზე, მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის.

თბილისის "დინამოს" ერთგვარად რთული პერიოდი აქვს - თაობათა ცვლა, რომელიც გარდუვალია საერთოდ სპორტში და, კერძოდ, ფეხბურთში, სწორედ ახლა დაიწყო ჩვენს გუნდში. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ მსოფლიოს უძლიერესი კლუბებიც კი მუდამ მტკივნეულად განიცდიან თაობათა ცვლას, ე.ი. იმ პერიოდს, როცა გუნდს ტოვებენ საუკეთესო, წამყვანი ფეხბურთელები და მათს ადგილს იკავებენ, იქნებ ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი, ახალბედა ფეხბურთელები.

თბილისის "დინამოს" ზოგიერთმა ძირითადმა მოთამაშემ უკვე დაამთავრა თავისი საფეხბურთო კარიერა, ერთ ჯგუფს ტრავმები აქვს, ზოგიერთები ვერ არიან სათანადო ფორმაში და ამიტომ გუნდის თამაშიც არაა სტაბილური.

ჩვენ გვინდა მკითხველმა სწორად გაგვიგოს: თბილისის "დინამო" ახლა ისე ვერ თამაშობს, როგორც მაშინ, როცა იგი ევროპის საკლუბო თასით, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებით და თასით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა ხოლმე შინ, მაგრამ ამას ობიექტური, სავსებით გასამართლებელი მიზეზები აქვს და ჩვენს, გუნდის ქომაგნი, მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ და დაველოდოთ როდის მიაღწევენ დღევანდელი ახალბედები ყიფიანის, ხინჩაგაშვილის, გუცაევისა და სხვათა დონეს. საამისო პოტენციალი და შესაძლებლობები "დინამოს" ახალგაზრდა მოთამაშეებს საკმარისად გააჩნიათ. საჭიროა მხოლოდ დრო, გამოცდილება, თავისებური სტაჟი.

წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში თბილისის "დინამოს" მწვრთნელებმა 30-მდე ფეხბურთელი გამოიყვანეს მინდორზე. კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, ეს კარგი ცხოვრებით არაა გამოწვეული. როცა გუნდს სტაბილური შემადგენლობა ჰყავს, იგი უფრო დარწმუნებულად, უფრო მონოლითურად და გაწაფულად თამაშობს. ცვლილებებს შეიძლება ექსპერიმენტის ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ თუ მწვრთნელს უხდება ახალგაზრდა, შეიძლება, ჯერ კიდევ სათანადოდ მოუმწიფებელი ფეხბურთელის გამოყვანა მინდორზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი ხასიათის ოპერაციაა, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გუნდის რამდენიმე ძირითადი, წამყვანი მოთამაშე ერთდროულად გამოდის ხოლმე მწყობრიდან. სწორედ მოსკოვის "სპარტაკთან" ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩში მოუხდა თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას კიდევ ორი ახალბედა მოთამაშის - მიქაბერიძისა და დოჩიას მინდორზე გამოყვანა.

თბილისელები დამარცხდნენ თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან - მოსკოვის "სპარტაკთან". თამაში იყო მეტად დაძაბული, საინტერესო, მის საბოლოო შედეგზე დიდად იმოქმედა იმან, რომ მასპინძლებმა დასაწყისშივე, უკვე მე-3 წუთზე გახსნეს ანგარიში. მათი ერთ-ერთი იერიშის დროს გესმა საკმაოდ შორი მანძილიდან, საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარედან დაარტყა კარში,

გაბელია არ იყო მზად ბურთის ასაღებად, დაიგვიანა და დინამოელთა კარის ბადეში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

სულ ათიოდე წუთი თუ იყო გასული ამ ეპიზოდის შემდეგ, როცა გავრილოვი სწრაფად გავიდა სტუმრების მცველთა შორის. მან ზუსტად გაგზავნა ბურთი შორეულ კუთხეში - 2:0.

მატჩის ამ პერიოდში თბილისელები აშკარად სუსტად, ქაოსურად თამაშობდნენ. გუნდის სიძნელეებზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ საჭიროა სხვაც ვთქვათ: ხომ იყვნენ მინდორზე გაბელია, ჩივაძე, ხიზანიშვილი, სულაქველიძე, შენგელია, სვანაძე, მუჯირი? სწორედ მათ მართებდათ მეტი ენერგიის, მონდომებისა თუ საბრძოლო სულისკვეთების გამოვლენა დაახლოებით 20-25 წუთის მანძილზე დინამოელები სუსტად თამაშობდნენ და მხოლოდ მაშინ, როცა ცავამ 30-ე წუთზე შორი მანძილიდან შესანიშნავი დარტყმით გაგზავნა ბურთი სპარტაკელთა კარში, ისინი გამოცოცხლდნენ, ამ საპასუხო გოლის შემდეგ ენერგიულად უტევდნენ მასპინძელთა კარს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს.

დინამოელები აქტიურად თამაშობდნენ მეორე ტაიმის დასაწყისშიც. კერძოდ, ჩივაძის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა და კარის ხაზზე გაგორდა, მაგრამ, როცა 55-ე წუთზე "დინამოს" მცველთა მიუტევებელი შეცდომებით ისარგებლა როდიონოვმა და მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო 65-ე წუთზე გესმა ანგარიში 4:1-მდე გაზარდა, მატჩის ბედიც გადაწყდა. დინამოელები ფაქტიურად დანებდნენ და "სპარტაკს" აღარ გასჭირვებია საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა საქმე.

დამარცხების მიუხედავად, თბილისის "დინამოს" ჯერ კიდევ არ დაუკარგავს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შესაძლებლობა. თავისი საბრძოლო განწყობილება გუნდმა 28 ოქტომბრის გასვლით მატჩში უნდა დაამტკიცოს მოსკოვის "ტორპედოსთან".

"ლელო", 26 ოქტომბერი, 1982 წ.